პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური
საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 83 (682). ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი, 1953 წ. ფასი 30 კაპ.

მთელი წლის განმავლობაში — ღია ცის ქვეშ

სისტემატური აღმავლობის გზით მიდის წინ საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი. ჩვენი საბჭოთა ქვეყნის სახელმოხვეჭილი სპორტული კოლექტივები და სპორტსმენები, ავლენენ რა უბადლო ოსტატობას, იმარჯვებენ მსოფლიოს უძლიერეს კოლექტივებთან და სპორტსმენებთან შეხვედრებში.

განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მიმდინარე წლის სპორტული სეზონი, რომელმაც მთელი სისრულით ცხადყო საბჭოთა სპორტის ძალა. ჩვენმა ფეხბურთელებმა, მძლეოსნებმა, ნიჩბოსნებმა, მოკრივეებმა, მოჭიდავეებმა ახალი წარმატებები მოიპოვეს საერთაშორისო სარბიელზე.

საბჭოთა სპორტის წინაშე ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დააყენეს ამოცანა — უახლოეს წლებში მოვიპოვოთ მსოფლიო პირველობა სპორტის წამყვან სახეობებში. პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად მტკიცედ იბრძვიან და წარმატებას აღწევენ ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციები, სპორტსმენები.

ფიზკულტურასა და სპორტში ახალ-ახალი გამარჯვებების მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ მეცადინეობას. უკვე რამდენიმე წელიწადია, რაც უკრაინისა და საქართველოს სპორტსმენები გამოვიდნენ მთელი წლის განმავლობაში ღია ცის ქვეშ მეცადინეობის ინიციატორებად. ამან, რასაკვირველია, დიდად შეუწყო ხელი სპორტ-ტექნიკური მაჩვენებლების ამაღლების საქმეს. ინიციატივამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსა და სპორტსმენებში. ზამთრის პერიოდში ხშირად ეწყობოდა მრავალი საინტერესო შეჯიბრება სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ეს ღონისძიებები, მიუხედავად ცივი ამინდისა, მონაწილეთა დიდ რაოდენობას იზიდავდა და მაღალ სპორტულ დონეზე ტარდებოდა.

მაგრამ ჩვენს რესპუბლიკაში ეს საჭირო და სასარგებლო საქმე ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ისეთი ხელსაყრელი კლიმატური პირობების მქონე ქალაქებში, როგორიცაა სოხუმი, ბათუმი და შავი ზღვისპირა რაიონები, ჯერ კიდევ ვერ მოაგვარეს ზამთრის სპორტულ სეზონში ღია ცის ქვეშ საწვრთნელი მეცადინეობებისა და შეჯიბრებების სისტემატურად მოწყობის საქმე. ამიტომაა, რომ მიმდინარე ზაფხულის სპორტულ სეზონში რესპუბლიკურ პირველობაზე გამართულ შეჯიბრებებში ამ ქალაქებისა და რაიონების სპორტულმა კოლექტივებმა და სპორტსმენებმა დაბალი შედეგები აჩვენეს.

სახარბიელო მდგომარეობა არც რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისშია. აქ იშვიათად ნახავთ სპორტსმენებსა და კოლექტივებს, რომლებიც სისტემატურად მეცადინეობდნენ ღია ცის ქვეშ. ისინი უმთავრესად სპორტულ დარბაზებში არიან „მოკალათებულნი“ და არ არღვევენ დრომოჭმულ ტრადიციას... ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბლიკა ზამთრის სპორტული ბაზების დიდ ნაკლებობას განიცდის. ჩვენ კი შესაძლებლობა გვაქვს ზამთარშიაც ფართოდ გამოვიყენოთ სტადიონები, სპორტული მოედნები, ჩოგბურთის კორტები და სხვ.

ფართო გასაქანი უნდა ჰპოვოს ზამთრის სეზონში სპორტის ისეთ სახეობაში სისტემატურმა მეცადინეობამ და საინტერესო შეჯიბრებების მოწყობამ, როგორიცაა მძლეოსნობა, კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი.

საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენს კოლექტივებსა და სპორტსმენებს ზამთრის განმავლობაში ღია ცის ქვეშ მეცადინეობის პოპულარიზაციის საქმეში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გამოიცეს მეცნიერული სახის ბროშურები და წიგნები, რომლებიც ამომწურავად გააშუქებენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ფიზკულტურისა და სპორტის სამმართველოები, სექტორები და ჯანმრთელობის რაიონული განყოფილებები აქედანვე უნდა შეუდგნენ ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის მზადებას, უნდა შევადგინოთ ზამთრის სპორტულ სეზონში ღია ცის ქვეშ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების ჩატარების კალენდარი.

ამხანაგო ფიზკულტურელებო, გაბედულად გამოვიდეთ ზამთრის პერიოდში სუფთა ჰაერზე, შევეჯიბროთ ერთმანეთს, მოვაწყოთ საინტერესო შეხვედრები. ეს დიდად შეუწყობს ხელს თქვენი სპორტ-ტექნიკური შედეგების შემდგომ ამაღლებას.

ზამთარში საფუძველი ეყრება ზაფხულის სპორტული სეზონის წარმატებას. საჭიროა მთელი წლის განმავლობაში ვიმეცადინოთ სუფთა ჰაერზე, მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეული საწვრთნელი დღე.

* * *

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმის შესახებ

ამ დღეებში შედგა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმი. პლენუმმა განიხილა საკითხი: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები. მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. ნ. შელეპინი.

პლენუმმა ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

პლენუმმა მიიღო დადგენილება 1954 წლის თებერვალში საკავშირო ალკკ XII ყრილობის მოწვევის შესახებ შემდეგი დღის წესრიგით: საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება; საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება; ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ; ცვლილებები საკავშირო ალკკ წესდებაში; საკავშირო ალკკ ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

„სპარტაკი“ მოსკოვი — დოჟის სახელობის კლუბი (უნგრეთი)

ცუდი ამინდის მიუხედავად საერთაშორისო შეხვედრამ ფეხბურთში დოჟის სახელობის კლუბს (უნგრეთი) და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის მრავალრიცხოვანი მაყურებელი მიიზიდა.

შეხვედრა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. სტუმრები უფრო აქტიურობდნენ. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა, მაგრამ ანგარიშის გახსნა ვერც მათ მოახერხეს. პირველი ნახევარი დამთავრდა — 0:0.

თამაშის მეორე ნახევარში ინიციატივა მთლიანად გადავიდა „სპარტაკელთა“ მხარეზე. მალე ანგარიში გახსნა სიმონიანმა. შემდეგ მან ძნელი მდგომარეობიდან მეორე ბურთიც გაიტანა უნგრელთა კარში.

„სპარტაკელთა“ ახალი შეტევის დროს ბურთი მიიღო ნეტომ, მიუახლოვდა უნგრელთა კარს და ზუსტი დარტყმით ანგარიში სამამდე გაზარდა. არ გასულა ერთი წუთი და კვლავ სიმონიანმა, რომელიც ამ დღეს შესანიშნავად თამაშობდა, უძლიერესი დარტყმით მეოთხე ბურთი გაახვია უნგრელთა კარის ბადეში. შემდეგ ილინმა ხუთამდე გაზარდა ანგარიში. ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით, ანგარიშით 5:0.

თამაშს კარგად სჯიდა ი. ვლჩეკი (ჩეხოსლოვაკია).

ოსტატთა შეხვედრა

18 ოქტომბერს „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდა თბილისის „დინამოსა“ და „სპარტაკის“ ოსტატ ფეხბურთელთა ამხანაგური შეხვედრა, რომელიც დინამოელთა გამარჯვებით (4:0) დამთავრდა. ბურთები გაიტანეს ზ. კალოევმა (3) და ა. ჭკუასელმა (1).

„კოლმეურნის“ საკავშირო პირველობა

„დინამოს“ სტადიონზე გრძელდება „კოლმეურნეს“ საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში საქართველოს ზონის გუნდებისათვის. გათამაშების მეორე დღეს უკრაინის ფეხბურთელთა გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 3:1 დაამარცხა სომხეთის სპორტსმენები. საქართველოს კოლმეურნე ფეხბურთელებმა მეორე შეხვედრა ჩაატარეს აზერბაიჯანის გუნდთან. შეხვედრის ანგარიშია 1:1. გუშინ საქართველოს გუნდმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა სომხეთის კოლექტივი.

ფრენბურთის ბადესთან

საქართველოს პირველობა ფრენბურთში

გაგრისა და ფოთის გუნდების შეხვედრის მესამე პარტია მიმდინარეობდა. ფოთის ფრენბურთელებმა საბოლოო დარტყმისათვის ბადესთან გაიყვანეს თავისი ყველაზე უფრო ძლიერი თავდამსხმელი პაპკოვი. იმავე წამს საწინააღმდეგო მხრიდან აღიმართა ბლოკი... დარტყმა! ბურთი მოხვდა ბლოკს და უკუქცეული ნელა დაეცა ფოთის გუნდის ნახევარზე. ერთი შეხედვით ხაზგასასმელი აქ თითქოს არაფერია. ყოველ თამაშში შეიძლება მოხდეს მსგავსი შემთხვევა — მოუმზადებელი შეტევის არასახარბიელო დამთავრება. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთ ტაქტიკურ შეცდომას სამწუხაროდ ბევრი გუნდი უშვებს, მათ შორის წამყვანი გუნდებიც. ხშირად ბლოკისაგან უკან დაბრუნებული ბურთი ეშვება ცარიელ ადგილზე, მხოლოდ იმიტომ, რომ შემტევ (ამ შემთხვევაში დამრტყმელ) მოთამაშის ზონას არავინ არ იკავებს. ურთიერთ დაზღვევას სპორტულ თამაშებში დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით კი ფრენბურთში. ეს ერთხელ კიდევ ნათლად დაგვანახვა რესპუბლიკის პირველობის გათამაშებამ. გუნდები ბევრ ქულას ჰკარგავდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზეზით.

ტაქტიკურად მრავალფეროვანი თამაში ვერ გვიჩვენა თითქმის ვერც ერთმა გუნდმა. ფრენბურთელთა კოლექტივების უმეტესობა თამაშობს ძველი, ელემენტარული პრინციპით. ორი გადაცემის შემდეგ დასარტყმელად გაყავთ მოთამაშე, რომელსაც სრულიად ადვილად უყენებენ ბლოკს. იშვიათია საბოლოო დარტყმაზე მოთამაშის უბლოკოდ გაყვანის, ან პირველსავე გადაცემით ძლიერი დარტყმის განხორციელების ცდები. ყველაფერი ეს მოწმობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის გუნდები საწვრთნელი ვარჯიშების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ტაქტიკურ მომზადებას.

ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის ბრძოლა შედის გადამწყვეტ ფაზაში. ვაჟთა გუნდებს შორის გასული წლის ჩემპიონმა თბილისის სარკინიგზო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდმა („ლოკომოტივი“) ადვილად დაამარცხა ბორჯომის, სტალინირის, ფოთისა და ქუთაისის (ყველა შეხვედრა 3:0) ფრენბურთელთა კოლექტივები. წაუგებლად მიდის აგრეთვე ვაჟთა შორის თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდი, რომელმაც მოიგო შეხვედრები სტალინირთან, (3:0), სოხუმის წარმომადგენლებთან (3:1), ქუთაისისა და ბათუმის ფრენბურთელებთან (3:0). თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენი ვაჟები პირველი სამეულის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტები არიან. ინსტიტუტის ფრენბურთელებმა დაამარცხეს ქუთაისის, ბათუმის, სტალინირის გუნდები ანგარიშით — 3:0 და ბორჯომის ნაკრები — 3:1.

ქალთა გუნდებს შორის კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს გასული წლის ჩემპიონის თბილისის „ნაუკის“ თამაში. „ნაუკის“ ფრენბურთელებმა სამ პარტიაში დაამარცხეს თბილისის „მედიკის“ და ლაგოდეხის წარმომადგენლები. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრაში „ნაუკამ“ პირველი ორი პარტია ადვილად მოიგო. სტუდენტმა ფრენბურთელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს მესამე პარტიაში და მოიგეს იგი 17:15. მეოთხე პარტიაში გასული წლის ჩემპიონმა ინიციატივა ხელთ იგდო, თამაშის დასაწყისშივე და წაიყვანა ანგარიში. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა სუსტად ჩაატარეს უკანასკნელი პარტია და წააგეს იგი — 2:15.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა „მედიკისა“ და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრა. პირველი ორი პარტია მოიგეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტსმენებმა. მესამე პარტიაში „მედიკის“ წარმომადგენლები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ძუგაევა, შეპილოვა და ლუპარევა, შესამჩნევად გააქტიურდნენ და მოიგეს — 15:13. მათივე უპირატესობით აღინიშნა ორი მომდევნო პარტია. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 3:2 „მედიკის“ სასარგებლოდ.

შეჯიბრება გრძელდება.

უნგრეთის ფეხბურთელები თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა დოჟის სახელობის კლუბის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც 22 ოქტომბერს ამხანაგურ მატჩში შეხვდება სსრ კავშირის 1953 წლის პირველობის გათამაშების პრიზიორს თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს.

უნგრელ ფეხბურთელებს დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

კლდეზემცოცავები

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ფიზიკური აღზრდა და სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლა

◆

პროფესორი

ო. ბ. ლეპეშინსკაია,

სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი

◆

ჩვენი ქვეყანა — ეს არის სიცოცხლის ხანგრძლიობის ქვეყანა. ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის, სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის არსად არაა შექმნილი ისეთი ხელსაყრელი პირობები, როგორც საბჭოთა კავშირში.

ასი წლის წინათ ფრანგი ბიოლოგი შამინე შეეცადა შეედგინა „სიცოცხლის ხანგრძლიობის თავისებური კატალოგი", რომელშიც უნდა შეეტანა ცნობები იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ას წელს გადააცილეს. მაგრამ დიდი გამოკვლევების შემდეგ ამ „კატალოგში" შეტანილ იქნა მხოლოდ 28 ფრანგი...

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ მსგავსი კარტოთეკის შედგენა გადასწყვიტა ხარკოველმა მასწავლებელმა-პენსიონერმა ი. ბ. შაპირომ. მის კარტოთეკაში აღმოჩნდა სსრ კავშირში მცხოვრებ ას წელს გადაცილებულ ადამიანთა 30.000 ანკეტა. მრავალწლოვან ადამიანთა ასეთი რაოდენობა არ გააჩნია მსოფლიოს არცერთ ქვეყანას.

ჩვენს ქვეყანაში ბევრია ადამიანი, რომელმაც ასი წლის ასაკს ძალიან შორს გადააბიჯა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ყველაზე დღეგრძელი ადამიანი ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. ეს იყო ოსი ქალი ტეფსე აბზივე, რომელიც ამასწინათ გარდაიცვალა 180 წლის ასაკში.

მაგრამ საქმე მარტო იმაში როდია, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრია ას წელს გადაცილებული ადამიანი. ჩვენთვის მთელი რიგი ცნობებია იმის შესახებ, რომ ამ ასაკში ადამიანები ინარჩუნებენ კარგ შრომისუნარიანობას, ეწევიან აქტიურ ცხოვრებას. საკმარისია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი: ორი წლის წინათ თხილის საწმენდი მანქანის შექმნისათვის სტალინური პრემია მიენიჭა 101 წლის მჭედელს, აზერბაიჯანელ მაჰმად ომარ-ოღლი ანდიევს.

რატომაა, რომ ადამიანთა უმრავლესობა მაინც 60-80 წლის ასაკში კვდება, რაში მდგომარეობს ნაადრევი დაბერების მიზეზები? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გვეხმარება გადავჭრათ სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის, ადამიანთა სიცოცხლის გაზრდისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

საბჭოთა მეცნიერებმა, რომლებიც მედიცინისა და ბიოლოგიის მეცნიერების დარგში მუშაობენ, უკანასკნელ ხანში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ამ პრობლემის გადაჭრაში, დაადგინეს ადამიანის ორგანიზმის ნაადრევი დაბერების კანონზომიერებანი და დასახეს სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლის პრაქტიკული გზები. ადგენდნენ რა ამ კანონზომიერებებს, ისინი გამოდიოდნენ სიბერისა და მისი გამომწვევი მიზეზების ყველაზე სწორი მატერიალისტური განმარტებიდან. საბჭოთა მეცნიერება ეყრდნობა ცნობილ დებულებას ენგელსისას, რომელმაც მიუთითა, რომ ნივთიერებათა ცვლა არის ცილოვან სხეულთა არსებობის ფორმა.

საბჭოთა მეცნიერება გამოდის დაბერების ყველაზე უფრო სწორი თეორიით. იგი ძირეულად განსხვავდება წინანდელი თეორიებისაგან, რომლებიც სიბერეს თვლიდნენ როგორც პროცესს, რომელიც დამოკიდებულია რაღაც ცალკეულ, ზოგჯერ შემთხვევით ფაქტორებზე. მრავალი ათეული წლის მანძილზე მეცნიერები ცდილობდნენ ეპოვათ ნაადრევი დაბერების მიზეზები. მაგალითად, ჩეხი მეცნიერი რუჟიჩკა, ეყრდნობოდა რა იმას, რომ ორგანიზმის უჯრედების პროტოპლაზმაში ასაკობრივი ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები ხასიათდება ცილათა თანდათანობითი შემკვრივებით და მათი დეჰიდრატაციით (წყლის დაკარგვით), თვლიდა, რომ ეს მოვლენები ადამიანის ნაადრევი სიბერისა და სიკვდილის ერთადერთი მიზეზია. ბიოლოგი ლორანი მოხუცებულობის მიზეზს ეძებდა სასქესო ჯირკვლების ატროფიაში, პროფესორი შერეშევსკი და ზოგიერთი სხვა საბჭოთა მეცნიერი-მედიკოსი ნაადრევი სიბერის დაწყებას ხსნიდნენ შინაგანი სეკრეციის სხვა ჯირკვლების — ფარისებრი, ჰიპოფიზის და ა. შ. მოქმედების დარღვევით. მაგრამ ყველა ეს თეორია განმარტავს მხოლოდ მოხუცებულობის პრობლემის კერძო საკითხებს. მათი ძირითადი ნაკლოვანება მდგომარეობდა იმაში, რომ ისეთი რთული მოვლენა, როგორიცაა სიბერე, რომელიც მოიცავს მთელ ორგანიზმს, ამ მეცნიერებს დაჰყავდათ მხოლოდ კერძო ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებამდე.

ადგენს რა ადამიანის ორგანიზმის დაბერების კანონზომიერებებს, საბჭოთა მეცნიერება გამოდის არა ამ კერძო თეორიებიდან, არამედ სიბერის ზოგადი თეორიებიდან, რომლებიც შემუშავებულია დიდი რუსი ბიოლოგების ი. ი. მეჩნიკოვისა და ი. პ. პავლოვის მიერ. მეჩნიკოვი, მაგალითად, დაბერების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ორგანიზმის თვითმოწამვლას მავნე ნივთიერებებით, რომლებსაც გამოჰყოფდა მსხვილი ნაწლავი მლპობელი ბაქტერიების ცხოველმოქმედების შედეგად. მართალია, მეჩნიკოვის დებულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ ისინი სრულად არ გამმარტავდნენ ორგანიზმის დაბერების გამომწვევ ყველა მიზეზს. მეჩნიკოვმა შემდგომ სიბერის თავისი თეორია შეავსო ორთობიოზის თეორიით, ე. ი. „წესიერი ცხოვრების" თეორიით. აქ მან დაადგინა სისტემა ჰიგიენურ ღონისძიებებისა, რომლებსაც ახლაც ვიყენებთ ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

სიბერის უმნიშვნელოვანესი ნერვოგენური თეორია შექმნა გენიალურმა რუსმა ფიზიოლოგმა აკადემიკოსმა ი. პ. პავლოვმა. მან დაადგინა, რომ ორგანიზმის დაბერების პროცესში დაწყებით და წამყვან როლს ასრულებენ ცენტრალური ნერვული სისტემა, უმთავრესად თავის ტვინის ქერქი და მასთან დაკავშირებული სხვა სისტემები. ეყრდნობოდნენ რა პავლოვის იდეებს, საბჭოთა მეცნიერებმა დაადგინეს ადამიანის ორგანიზმის ნაადრევ დაბერებაზე დიდ ნახევარსფეროთა გარსის შესუსტებისა და გამოფიტვის გავლენის კანონზომიერებანი. ეს გამოკვლევები არამარტო გვეხმარებიან სწორად და სწრაფად ვუმკურნალოთ ბევრ მძიმე დაავადებას, არამედ მათ აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვთ სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლაში.

ადგენს რა ნაადრევი დაბერების ფიზიკო-ქიმიურ და წმინდა ბიოლოგიურ მიზეზებს, საბჭოთა მეცნიერება გამოდის იმ უდავო დებულებიდან, რომ სიბერე საჭიროა შესწავლილ იქნას, როგორც კომპლექსური პროცესი მასზე გავლენის მქონე ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. ჩემი შეხედულებით, ყველაზე უფრო სწორი თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზმის ნაადრევი დაბერება წარმოიქმნება ნერვული სისტემის ფუნქციური დასუსტებით და სხვა მიზეზებით—ინფექციური დაავადებანი, არარაციონალური კვება, თამბაქოს წევა, ალკოჰოლიზმი. მრავალრიცხოვანი ცდით, რომლებიც ჩატარდა უკანასკნელ დროს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-კვლევით სამედიცინო დაწესებულებებში, კერძოდ ცოცხალ ნივთიერებათა განვითარების განყოფილებაში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დადგენილია, თუ რაში მდგომარეობს სიბერის არსი. ნაადრევ სიბერეს, როგორც დადგენილია ამ გამოკვლევებით, იწვევს ზემოაღნიშნული სხვადასხვა მიზეზის გავლენით ადამიანის ორგანიზმის ცილათა შემჭიდროება. ჩვენ, ამგვარად, საქმე გვაქვს ცილების „დაბერებასთან", ეს კი იწვევს ყველა ორგანოსა და ორგანიზმის ქსოვილების მოქმედების დარღვევას და პირველ რიგში ნერვული სისტემისა. ამ დებულებათა დადგენა ჩვენ საშუალებას გვაძლევს გეგმაზომიერად და თანმიმდევრობით ვებრძოლოთ ნაადრევ სიბერეს.

წინათ მეცნიერები ცდილობდნენ ეპოვათ საშუალებები, რომლებიც დაგვეხმარებოდნენ თავიდან აგვეცილებინა ნაადრევი სიბერე. ზოგიერთი მათგანი წინადადებას იძლეოდა „გაახალგაზრდავების" მიზნით ადამიანის ორგანიზმში შეგვეყვანა ცხოველთა სასქესო ჯირკვლების ნაწური, მეორენი წინადადებას იძლეოდნენ ჩაგვეტარებინა „გაახალგაზრდავების" სხვადასხვა ოპერაცია, მესამენი, გამოდიოდნენ რა მეჩნიკოვის თეორიიდან, რჩევას იძლეოდნენ 2-3 წლიან ბავშვებისათვის ამოგვეჭრა მსხვილი ნაწლავი და ა. შ. ყველაფერი ეს, რასაკვირველია, სრულიად არ წყვეტს სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლის პრობლემას.

საბჭოთა მეცნიერებამ დაადგინა, თუ რა საშუალებები უწყობენ ხელს სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლას, რა საშუალებებს შეუძლიათ ორგანიზმის ნაადრევი დაბერების ლიკვიდირება. აქ უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მიკუთვნებული ფიზიკურ აღზრდას.

ფიზიკური აღზრდა, როგორც ეს უდავოდ დამტკიცებულია, მნიშვნელოვნად განამტკიცებს ადამიანის ჯანმრთელობას, ზრდის ინფექციური დაავადებებისადმი მისი წინააღმდეგობის უნარიანობას, აწრთობს ადამიანს, ზრდის მის შრომისუნარიანობას. ეს ხდება იმიტომ, რომ ფიზკულტურის სხვადასხვა სახეობა მეტად კეთილმყოფიერ გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე და, უმთავრესად, ნივთიერებათა ცვლაზე, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული დაბერების პროცესი. ამას გარდა, ფიზიკური ვარჯიში გავლენას ახდენს მამოძრავებელ სისტემაზე — კუნთები, იოგები, სახსრები და ა. შ. (ამასთან საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მოზრდილი ადამიანის კუნთების წონა შეადგენს მთელი ტანის წონის თითქმის ნახევარს). როგორც მეცნიერულმა გამოკვლევებმა აჩვენეს, ფიზიკურ ვარჯიშებს, რომლებიც ტარდება თავის ტვინის დიდ ნახევარსფეროთა ქერქის კონტროლ ქვეშ, მოქმედებაში მოჰყავთ მთელი ეს მამოძრავებელი აპარატი, ცენტრალურ ნერვულ სისტემას აიძულებს მოახდინოს უფრო სწრაფი ფუნქციონირება. ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა ადამიანში ღრმავს სიმხნევეს, თავისი ძალებისადმი რწმენის ემოციებს, ამაღლებს მის ცხოველმოქმედებას.

არ არის ადამიანის სხეულის ისეთი ორგანო, ისეთი ქსოვილი, სადაც არ იყოს აღნიშნული გონივრულად დაყენებული ფიზიკური ვარჯიშის კეთილისმყოფელი გავლენა. იგი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ხელს უშლის გულში, სისხლძარღვებში, ფილტვებში და ა. შ. მავნე სკლეროზული ცვლილებების წარმოქმნას. მაგრამ ყველაზე ძვირფასია ის, რომ ფიზკულტურა და სპორტი აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და ამით დადებით გავლენას ახდენს ძირითად სასიცოცხლო პროცესზე.

გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ა. მაკარენკო სამართლიანად მიუთითებდა მოზარდი თაობის მორალური და ფიზიკური ფორმირების საერთო საქმეში ფიზიკური აღზრდის დიდ მნიშვნელობაზე. „ოჯახი ყოველმხრივ უნდა ცდილობდეს სპორტისადმი ინტერესის წახალისებას", — წერდა იგი და სამართლიანად ხაზს უსვამდა, რომ „ბავშვობისას სპორტის მხოლოდ ერთი სახეობით გატაცება აფერხებს ადამიანის განვითარებას. ვერ სწყვეტს ჰარმონიული ფიზიკური განვითარების პრობლემას". დაბადების პირველსავე წლებში და თვეებშიც კი, ბავშვისათვის აუცილებელია სწორად დაყენებული ფიზიკური აღზრდა.

ჩვენ ვიცით, რომ ვ. ი. ლენინიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფიზიკურ აღზრდას. დედისადმი გაგზავნილ წერილში ლენინი წერდა, რომ დიდი სიამოვნებით და ორგანიზმისათვის სარგებლობის მიცემით ატარებს ტანვარჯიშს ძილის წინ. ხოლო დას სწერდა, რომ ყოველდღიურად, ყოველგვარი დათმობის გარეშე შეესრულებინა ტანვარჯიში.

იხილავენ რა ფიზიკურ აღზრდას, როგორც ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და მისი სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლის უმნიშვნელოვანეს საშუალებას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდას. სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან იქმნება განსაკუთრებული კომისია. იგი შეიმუშავებს ჰიგიენურ ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტექნიკური განათლების განხორციელებასთან და მოამზადებს სამეცნიერო ბაზას ადამიანის ორგანიზმზე ფიზკულტურის გავლენის შესწავლისათვის.

ნაადრევ სიბერესთან ბრძოლისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ხანდაზმულ ადამიანთა ფიზიკურ აღზრდას. საჭიროა გავიხსენოთ კ. ე. ვოროშილოვის შესანიშნავი სიტყვები, რომ ის, „ვინც რეგულარულად არ ეწევა ფიზიკურ წვრთნას, ემსგავსება ადამიანს, რომელმაც შეგნებულად გადაწყვიტა დაბერდეს 45 წლის ასაკში და აჩქარებს საკუთარ დაუძლურებას". ხანდაზმულ ადამიანზე უარყოფითად არ მოქმედებს ფიზკულტურისა და სპორტის არცერთი სახეობა, მაგრამ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ისინი უწინარეს ყოვლისა უნდა მიზნად ისახავდნენ არა სპორტულ, არამედ გამაჯანსაღებელ, ორგანიზმის გამაახალგაზრდავებელ მიზნებს. ამისათვის რეკომენდებულია ზამთარში თხილამურებითა და ციგურებით ვარჯიში, ზაფხულში — ველოსიპედით და ქვეითად სეირნობა, ცურვა, ნიჩბოსნობა, წლის ყველა დროში — ტანვარჯიში. ხანდაზმული ადამიანის ორგანიზმზე დადებით გავლენას ახდენს აგრეთვე ადგილობრივი ან სამთო ტურიზმი. დადგენილია, მაგალითად, რომ 60-70 წლის ადამიანისათვისაც კი სამთო ტურიზმი არ იწვევს არავითარ არანორმალურ ცვლილებებს გულ-სისხლძარღვებისა და სასუნთქავ სისტემაში, ფილტვებში და ა. შ. პირადად მე 65 წლის ასაკში ქლუხორის უღელტეხილზე ავედი.

მაგრამ იმისათვის, რომ ხანდაზმულობაში ფიზიკური ვარჯიში იყოს ორგანიზმის განმტკიცების, შრომისუნარიანობისა და სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლის ქმედითი საშუალება, საჭიროა დავიცვათ ზოგიერთი წესი. დამტკიცებულია, მაგალითად, რომ ფიზიკურ ვარჯიშს ყველაზე უფრო დიდი სარგებლობა მოაქვს წყლის პროცედურებსა და თვითდაზელვასთან შეხამებით. ეს მეცადინეობანი აუცილებელია ტარდებოდეს რეგულარულად, რომლის დროს გვერდი უნდა ავუაროთ ისეთ მოძრაობებს, რომლებიც დაკავშირებული არიან სისხლის წნევის მკვეთრ ცვლილებასთან, კუნთების ხანგრძლივ შეკუმშვასთან, სუნთქვის შეფერხებასთან (სწრაფი ბუქნები, სხეულის გადახრები და ა. შ.). ამ მითითებების შესრულებისას ფიზიკური ვარჯიში სასარგებლოა ღრმა ხანდაზმულობის დროსაც კი. ცნობილია, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები ღრმა მოხუცებულობამდე ეწეოდნენ რეგულარულ ფიზიკურ ვარჯიშს, რაც, ჩვენი შეხედულებით, წარმოადგენდა მათი სიცოცხლის ხანგრძლიობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი, მაგალითად, 82 წლის ასაკში ეწეოდა ტანვარჯიშს, გატაცებული იყო ცხენოსნობით, სეირნობდა ველოსიპედით. აკადემიკოსი პავლოვი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრულამდე (გარდაიცვალა 86 წლის ასაკში შემთხვევითი დაავადებით) თამაშობდა რუსულ რიკაობას, დადიოდა თხილამურებით, სეირნობდა ველოსიპედით, და ზოგჯერ მისი საველოსიპედო გასეირნების მანძილი 60-80 კილომეტრს უდრიდა. თუ რაოდენ სასარგებლოა ხანდაზმულობაში ფიზიკური ვარჯიში, მე შემიძლია ვიმსჯელო საკუთარი გამოცდილებითაც. მე სიცოცხლის მთელ მანძილზე ვეწევი ფიზიკურ ვარჯიშს. 65 წლის ასაკში ჩავაბარე ნორმები მშთ-ს ნიშანზე, მივიღე ვოროშილოველი მსროლელის ნიშანი, და ახლა, როცა 82 წელს გადავაბიჯე, დილაობით სისტემატურად ვასრულებ ფიზკულტურულ ვარჯიშს. ფიზკულტურასა და სპორტში მუდმივმა მეცადინეობამ ღრმა მოხუცებულობამდე შემინარჩუნეს სიმხნევე, ჯანმრთელობა, კარგი შრომისუნარიანობა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ფიზკულტურული მეცადინეობის შრომით საქმიანობასთან შეხამებას. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს ი. პ. პავლოვის შესანიშნავი სიტყვები, მიმართული მეშახტეებისადმი: „მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მიყვარდა გონებრივი და ფიზიკური შრომა და, მგონი, უფრო მეტად მეორე. განსაკუთრებით კმაყოფილად ვგრძნობდი თავს, როცა უკანასკნელში შემჰქონდა რაიმე კარგი აზრი — ესე იგ თავს ვუერთებდი ხელებს...".

ხანდაზმული ადამიანებისათვის ფიზიკური ვარჯიშის ჰიგიენური მნიშვნელობის შესახებ ლაპარაკისას საჭიროა ხაზი გაესვას, რომ ამ ასაკშიც კი ოდნავ უარყოფით გავლენა არ ახდენს ორგანიზმზე სპორტში მეცადინეობა. ჩვენთვის ხომ ცნობილია მრავალი მაგალითი ნამდვილ სპორტული სიცოცხლის ხანგრძლიობისა. სახელგანთქმული რუსი მოჭიდავე ივანე პოდუბნი, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 80 წლ ასაკში. მან ჭიდაობას თავი დაანებ გარდაცვალებამდე მხოლოდ 10 წლ ადრე. 84 წლის ნიჩბოსანი მ. სვეშნიკოვი წარმატებით გამოდიოდ ერთადგილიანი ნავებით ასპარეზობაში. არც თუ ისე დიდი ხნის წინა მარათონულ რბენაში კარგ შედეგ მიაღწია 55 წლის პოლკოვნიკმა გოდინმა. მაშასადამე, სპორტშიც შეიძლება იმეცადინო ღრმა სიბერემდე საჭიროა მხოლოდ ყურადღებით ვადევნოთ თვალი საკუთარი ორგანიზმის მდგომარეობას, ვიყოთ სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ.

ფიზიკური აღზრდის საერთო სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს მშ კომპლექსს. თვითეული ადამიანი ვალდებულია ჰქონდეს მშთ ნიშანი ეს ხელს შეუწყობს მისი ჯანმრთელობის განმტკიცებას და, საბოლო ანგარიშით, გახდება მნიშვნელოვან ელემენტი სიცოცხლის ხანგრძლიობისათვის ბრძოლაში.

სიცოცხლის ხანგრძლიობისათვი საერთო ბრძოლაში დიდია სამკურნალო ფიზკულტურის როლი. ფიზიკურ ვარჯიშთა კომპლექსი, რომლებიც უმთავრესად დაკავშირებულ მოძრაობასთან, ჩვენს ქვეყანაში წარმოადგენს ავადმყოფ ორგანიზმზე ზ მოქმედების უმნიშვნელოვანეს საშუალებას. წარმატებით იყენებს რა დიდი რუსი ექიმების ბოტკინისა ოსტროუმოვის დევიზს — „ვუმკურნალოთ ავადმყოფობას კი არა, არამედ ავადმყოფს", — საბჭოთა სამედიცინო მეცნიერებამ დაადგინა, რ ფიზიკური ვარჯიში ხელს უწყო ძვლების დაავადებათა სწრაფ მკუ ნალობას, ძვლების მოტეხილობა გამთელებას, განამტკიცებს ავადმყ ფი ორგანოს ფუნქციებს, კეთილი მყოფელ გავლენას ახდენს ადამიან ნერვულ სისტემასა და ფსიქიკა ამჟამად სამკურნალო ფიზკულტ რა სულ უფრო და უფრო მეტ გამ ყენებას პოულობს ჩვენი ქვეყნ სამედიცინო დაწესებულებებში.

იყენებს რა ადამიანის ორგანიზმ ფიზიკური კულტურისა და სპორტ ყოველმხრივ გავლენას, საბჭო მეცნიერება წარმატებით იბრძვის ს ცოცხლის ხანგრძლიობისათვის. ფიზიკური აღზრდა წარმოადგენს გან ყოფელ ნაწილს იმ გამაჯანსაღებე ღონისძიებებისას, რომლებიც დაკ შირებული არიან ამხანაგ სტალი მიერ მითითებული მნიშვნელოვ ამოცანის გადაჭრასთან, — მიღწე იქნას საზოგადოების ისეთი კუ ტურული ზრდა, რომელიც საზოგ დოების ყველა წევრისათვის უზრ ველყოფდა მათი ფიზიკური და გ ნებრივი უნარის ყოველმხრივ გან თარებას.

წარმატებით სწყვეტს რა სიცო ლის ხანგრძლიობის პრობლემას, ს ჭოთა მეცნიერებამ უკანასკნელ დრ წარმატებებს მიაღწია ისეთ ნივთ რებათა პოვნაში, რომლებიც ხე უწყობენ ადამიანის ორგანიზმში ცვლითი რეაქციების მიმდინარეობ და ამგვარად გავლენას ახდენენ ცოცხლის ხანგრძლიობაზე. როგო ჩვენს მიერ იქნა დადგენილი, ას ნივთიერებებს მიეკუთვნება სო განსაზღვრული კონცენტრაციებ და განსაზღვრულ პირობებში ორ ნიზმში შეყვანილი სოდა კეთილ ყოფიერ გავლენას ახდენს ორგანი ში ნივთიერებათა ცვლის ზრდა განამტკიცებს მის ცხოველმოქმედ ბას. ამჟამად მიმდინარეობს ორ ნიზმზე სოდიანი აბაზანების გავლ ნის შემოწმება. ერთი რამ უეჭვე — სხვა ქიმიურ ნივთიერებებთან თად სოდა ხელს უწყობს ადამია სასიცოცხლო ტონუსის ამაღლე ჯანმრთელობის განმტკიცებას.

ვანვითარებთ რა ფიზიკური აღ დის ყველა სახეობას, ვაქცევთ მას უფრო მასობრივს, ამით ახალ წარმატებებს მოვიპოვე კომუნიზმის მშენებელი საბჭ ადამიანების სიცოცხლის გახანგ ლივებისათვის ბრძოლაში.

მშთ კომპლექსის ახალი პროექტი

მშთ კომპლექსი, რომელიც საბჭოთა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საფუძველია, დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა ფიზიკურად გაკაჟების, მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობის განვითარების, ფიზკულტურასა და სპორტში სამეცადინოდ ახალგაზრდობის მიზიდვის საქმეში.

ამჟამად, როგორც არასდროს, საგრძნობლად მომწიფდა მშთ-ს მოქმედი კომპლექსის სრულყოფის აუცილებლობა. ეს კიდევ უფრო საჭირო გახდა იმიტომ, რომ მშთ-ს კომპლექსს არ აქვს მჭიდრო კავშირი მოქმედ სპორტულ კლასიფიკაციასთან.

მშთ-ს მოქმედ კომპლექსს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთა შორის ძირითადი, როგორც სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის მთავარმა სამმართველომ აღნიშნა, შემდეგია: მოქმედი კომპლექსი შედგება საერთო ნორმებისა და მოთხოვნებისაგან და ამორჩევითი ნორმებისაგან. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამორჩევითი ნორმებიდან ფიზკულტურელები აბარებდნენ მხოლოდ იოლ სახეებს, რის გამოც მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნორმების ათვისებას ყურადღება არ ექცეოდა.

მოქმედი კომპლექსი ნაკლებად უზრუნველყოფს მშრომელთა ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებასა და შემდგომ სპორტულ სრულყოფას, სუსტად უწყობს ხელს ნორმის ჩამბარებელთა მიერ ფიზიკურ განვითარებაში მიღწეული დონის განმტკიცებას, არ არის კავშირი კომპლექსის ნორმატივებსა და სკოლაში ფიზიკური აღზრდის საპროგრამო მოთხოვნებს შორის.

საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ახალ სრულყოფილ პროექტში მხედველობაში მიღებულია მოქმედი კომპლექსის ყველა არსებითი ნაკლოვანი მხარე, უფრო მეტადაა დიფერენცირებული ნორმების ჩამბარებელთა ასაკობრივი კატეგორიები, სკოლების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა ასაკთან შეფარდებით.

შვიდკლასდამთავრებულმა უნდა ჩააბაროს იმშთ-ს ნორმები, საშუალო სასწავლებელდამთავრებულმა — მშთ I, ხოლო უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულმა — მშთ II საფეხურის ნორმები.

იმშთ-ს საფეხურში ასაკი — 14-15 წლიდან დაყვანილია 13-14 წლამდე.

მეორე საფეხურში შეტანილია სპორტული კლასიფიკაციის ერთერთი სათანრიგო ნორმის ჩაბარება („ფრიადზე"). ის პირები, რომლებიც განმეორებით აბარებენ გამოცდებს მშთ I და II საფეხურზე, ჯილდოვდებიან სპეციალური ნიშნით.

• • •

ამას წინათ სპორტის ოსტატთა კლუბში გაიმართა ქალაქის ფიზკულტურის მუშაკთა თათბირი, რომელზეც მოეწყო პროექტის განხილვა. არჩეულ იქნა ცენტრალური კომისია (თავმჯდომარე მ. ცხვედაძე), რომელმაც უნდა განაზოგადოს მშთ-ს კომპლექსის ახალი პროექტის ირგვლივ გამოთქმული წინადადებები.

პროექტის განხილვაში წამყვანი როლი უნდა შეასრულონ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, პედაგოგიური სასწავლებლების ფიზაღზრდის ფაკულტეტებმა, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურის კათედრებმა.

სამი რესპუბლიკური რეკორდი


რ. ჩიმიშკიანი

ა. ტატიშვილი

ი. ქართველიშვილი

★

გასულ კვირას „პიშჩევიკის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა საკავშირო დაუსწრებელი პირველობის მეორე ტური და დედაქალაქის პირად-გუნდური პირველობა სიმძიმეთა აწევაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო სპორტსაზოგადოებათა 61-მა ძალოსანმა. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს ე. ადშუნცევმა („დინამო"), სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა („დინამო"), სპორტის ოსტატმა ხ. ხანუკაშვილმა („დინამო"), ა. გალოიანმა („ლოკომოტივი"), ა. ტატიშვილმა („დინამო"), ი. შივცმა („დინამო"), ი. ქართველიშვილმა („ნაუკა").

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების მსვლელობისას დამყარებულ იქნა რამდენიმე რესპუბლიკური რეკორდი. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი ორი ხელით აკვრასა და ატაცში. ი. ქართველიშვილმა 0,5 კგ. გააუმჯობესა ვ. კალმახელიძის მიერ 1939 წელს დამყარებული რეკორდი.

გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა „დინამომ".

ცხენთა რბოლა ათ კილომეტრზე

რესპუბლიკის პირველობა საცხენოსნო სპორტში

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ფოთში გრძელდება რესპუბლიკის პირველობა ცხენოსნობაში. როგორც ვიუწყებოდით, მეტად დაძაბულად მიმდინარეობს მხედართა შეჯიბრება მრავალჭიდში. დამთავრდა მაღალი კლასის დაბრკოლებათა გადალახვა. გამარჯვებული გამოვიდა ნ. არძინბა (გუდაუთი), მეორე ადგილზეა დ. კანკია (ზუგდიდი). 4.000 მეტრზე დოღში, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინიშთან პირველი მივიდა ზუგდიდელი ო. ხაინდრავა. ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა დოღი 3 კილომეტრზე (ვაჟებისათვის). აქ კი აბაშელმა კუპრეიშვილმა პირველობა არავის დაუთმო. ქალებიდან დოღში გაიმარჯვა სპარტაკელმა ტაბიძემ.

შეჯიბრების ერთ-ერთი დაძაბული ნომერი იყო მარულა 10 კილომეტრზე. როგორც კი დაიწყო ცხენთა რბოლა, დაწინაურდა სპარტაკელი ხათაროვი. 6 წრე ისე განვლო, რომ წინ არავინ გაუშვია. შემდეგ კი მის ცხენს დაღლა დაეტყო და მას ერთდროულად გაუსწრეს ზუგდიდელმა ო. ხაინდრავამ, გუდაუთელმა ჩუაზიმ და აბაშელმა ჩაჩავამ. ამ სამ მხედარს შორის გაიმართა ბრძოლა პირველი ადგილისათვის. უნდა აღვნიშნოთ, რომ ზუგდიდელ ო. ხაინდრავას ცხენი „პატეფონი" მარულაში ჯერ არ დამარცხებულა. აქაც შესძლო მან თავისი ფიზიკური და სპორტული მონაცემების გამოვლინება და გაიმარჯვა. ზუგდიდელმა ნორჩმა მხედარმა მოხდენილად აიტაცა მარულაში გამარჯვების ნიშანი წითელი ალამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჩუაზი, მესამეზე—ჩაჩავა.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის მკითხველი გეგეჭკორის რაიონიდან გვწერდა, რომ „აბშესში ფეხბურთის მოედანი სავალალო მდგომარეობაშია, არა გვაქვს ფორმები, ბურთი..."

როგორც საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის მდივანი გვატყობინებს, კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხი განიხილა აბშესის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ, რომელმაც მდგომარეობის გამოსწორებისათვის მიიღო საჭირო ღონისძიებანი. ამჟამად ფეხბურთის მოედანი შემოკავებულია, შეძენილია ფორმები, ბურთები და შექმნილია ყველა პირობა ნაყოფიერი სპორტული მუშაობისათვის.

სპორტულ საზოგადოებებში

„დინამო"

11-15 ოქტომბრამდე სვერდლოვსკში მიმდინარეობდა საზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს 1953 წლის პირველობის გათამაშება კრივში. შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს მოსკოვის სპორტსმენებმა, მეორე—ყაზახეთის, მესამე—საქართველოს „დინამოს" გუნდმა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა მჩატე წონაში კ. ზუბიაშვილმა, ნახევრადსაშუალოში ნ. დარბაისელმა და ნახევრად მძიმეში — ვ. ბაბახანიძემ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

* * *

ტუაფსეში დამთავრდა ცენტრალური საბჭოს პირველობა წყალბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ლვოვის, ტალინის, რიგის, ხარკოვის, ტაშკენტისა და თბილისის წყალბურთელები. საქართველოს გუნდმა მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზეა მოსკოველი წყალბურთელები.

* * *

ამასწინათ ლვოვში ჩატარებულ „დინამოს" პირველობაზე ცურვაში თბილისელმა სპორტის ოსტატმა ვ. ლავრინენკომ 1.500 მეტრზე ნებისმიერი სტილით პირველი ადგილი მოიპოვა. გაიმარჯვეს აგრეთვე თბილისელებმა ვ. ბუკარევმა 200 მეტრზე ბრასით და ა. იურჩენკომ 100 მეტრზე ზურგით ცურვაში.

როგორ ვემზადებით ზამთრის სპორტული სეზონისათვის?

გაზეთ „ლელოს" რეიდი

ყველაფერი... მხოლოდ არა სპორტისათვის

როგორც იქნა მივაგნით არტელ „სპორტის" ფარდულს სტალინის სახელობის რაიონის ბაზარში. ჩვეულებრივად ამ ფარდულს სხვებისაგან ვერც გაარჩევთ — აქ ყველაფერი იყიდება... მხოლოდ სპორტისათვის არა!

— ზამთრის სეზონისათვის რა გაქვთ?

— რასაც ინებებთ! — სხარტად გვიპასუხა გამყიდველმა და დაბლიდან თავამდე შევსებულ ყაფაზებს ღიმილით შეავლო თვალი, — ქალის თავშლები ბლომადაა, თბილი წინდები, შარვლები, ზეწრები, საცვლები...

— სპორტულ ტანსაცმელზე გეკითხებით.

— დალოცვილო, ასე იტყოდით! ტრუსები, მაისურები, ტრიკოტაჟი, ცოტაოდენი თბილი ხალათები, — ბოლოს სათვალავი შემოაკლდა და მოკლედ დასძინა, — მეტი რაღა გინდათ!

— ბურთები, სპორტული ფეხსაცმელი ან სხვა ინვენტარი?

— ერთ დროს გვქონდა, გამოილია, არავინ გვაძლევს. ჩვენც უფრო სარფიან საქმეს მოვკიდეთ ხელი. საწვრილმანო კარგად იყიდება, შეკერილ ტანსაცმელს იტაცებენ, ვეზიდებით სხვადასხვა არტელიდან. ვაჭრობთ, გეგმას ვასრულებთ... ჩვენც კმაყოფილნი ვართ და „სპორტის" გამგეობაც.

დიალოგი, რომელიც აქაა აღწერილი, გაიმართა № 1 ფარდულში (გამგე მ. აბროიანი). ამავე ბაზარში არტელი „სპორტი" ფლობს მეორე ფარდულსაც (გამგე მ. რაგიმოვი), რომელიც პირველისგან იმით განსხვავდება, რომ ყაფაზები შევსებული აქვს ქალის კუსტარული ფეხსაცმლით, მაგრამ არ გეგონოთ იგი სპორტული იყოს! ფარდულებში ათამდე სხვადასხვა არტელის ნაწარმი იყიდება, თვით არტელ „სპორტის" კი ძლიერ ცოტა, მათგან უმეტესობა დიდი ხანია არ საღდება და მტვრით იფარება.

მარჯანიშვილის ქუჩაზე არტელს საკმაოდ მოზრდილი, კომფორტული მაღაზია აქვს გახსნილი. აქაც ჩვეულებრივად ვაჭრობენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცოტაოდენ სპორტულ ინვენტარს და ტრიკოტაჟის ნაწარმს. საზამთრო სპორტული სეზონისათვის მაღაზიის დირექციას მაინცდამაინც არ შეუწუხებია თავი. სწორედ ამიტომაა, რომ აქ თითქმის არაფერი გააჩნიათ სათხილამურო სპორტისათვის. ასევე შეიძლება ითქვას საზამთრო-სავარჯიშო კოსტიუმებზე სპორტის სხვა სახეობისათვის.

— რას იზამთ, — მხრების აჩეჩვით ამბობენ აქ, — მართალია, სპორტულ ტანსაცმელზე და ინვენტარზე დიდი მოთხოვნილებაა, მაგრამ რაც გვაქვს, იმით ვვაჭრობთ.

«ობიექტური» მიზეზები

სამეურნეო წელი იწურება, გეგმის შესრულება კი საფრთხის წინაშე დგას. სექტემბრის დავალება არტელმა მხოლოდ 52,3 პროცენტით გაანაღდა, მაგრამ ამ საერთო მაჩვენებლების იქით უფრო სერიოზული ნაკლოვანებები იმალება, — სრულიად არ იწუხებენ თავს ასორტიმენტისა და ხარისხის გეგმის შესრულებაზე.

სამარცხვინოდ ჩამორჩება ტყავის ნაწარმის გამოშვება. წელს არ დაუმზადებიათ არც ერთი ბურთი ფეხბურთელებისათვის, ჩაშალეს ბურთების გამოშვება ფრენბურთელებისა და კალათბურთელებისთვისაც. ასევე უყურადღებოდაა მიტოვებული სპორტული ფეხსაცმლის წარმოება.

— ნედლეულის სიმცირე გვაბრკოლებს, თორემ... ასე იმართლებენ თავს.

ეს ნაწილობრივ მართალიცაა. წელს მარტო 26 კომისრის სახელობის არტელს 1.038 კილოგრამი მაგარი და 72.600 დეციმეტრი რბილი ტყავი უნდა მიეწოდებინა, ფაქტიურად მხოლოდ 5.000 დეციმეტრი რბილი ტყავი მისცა. ამან, რასაკვირველია, გარკვეულად იმოქმედა საერთო მაჩვენებლებზე. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ტრიკოტაჟის, სავარჯიშო კოსტუმების, საჭიდაო ჩოხების გამოშვებაზე. მესამე კვარტალში ჯემპრების გამოშვების გეგმა შესრულებულია 4,9 პროცენტით, სავარჯიშო კოსტიუმების — 5,6 პროცენტით, ხოლო საჭიდაო ჩოხებისა — 24 პროცენტით.

— პროდუქცია ჩაწოლილია, არ საღდება, ჩვენც იძულებული ვართ შევანელოთ ტემპი, — კვლავ იმართლებენ თავს.

საქონლის ჩაწოლის ნამდვილი მიზეზის შესწავლისათვის, როგორც ჩანს, აქ ნაკლებად ზრუნავენ. არტელის გამგეობა გატაცებულია საერთო საწარმოო მაჩვენებლებით, ხარისხისათვის ბრძოლა კი მხედველობიდან რჩება. მესამე კვარტალში პირველი ხარისხის ტრიკოტაჟის გამოშვება 16 პროცენტით შეამცირეს, სამაგიეროდ ერთიორად გაზარდეს მესამე ხარისხის ნაწარმის გამოშვება.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში არტელის სავაჭრო მაღაზიებში უხარისხო, წუნიანი პროდუქცია აწყვია, არტელის გამგეობა კი ამ გარემოებას არაფრად მიიჩნევს.

არტელ „სპორტის" გამგეობას (თავმჯდომარე ხ. ავეტისოვი) ჯერაც არ მოუფიქრებია, თუ როგორ შეხვდეს ზამთრის სპორტულ სეზონს. თავის გასამართლებლად კი აქ უამრავ მიზეზს ასახელებენ...

ნაკლოვანებანი კიდევ არის

შედარებით უკეთესად მუშაობენ საზოგადოება „დინამოს" საწარმოები — სპორტფეხსაცმლისა და სატრიკოტაჟო ფაბრიკები, სპორტიარაღების ქარხანა, მხედველობაშია მიღებული მომხმარებლის მოთხოვნილება, დაცულია ასორტიმენტი, სრულდება ხარისხის გეგმა. საზამთრო სპორტული სეზონისათვის „დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომ სარეალიზაციოდ შემოზიდა 1.051 წყვილი თხილამური.

მაგრამ ნაკლოვანებანი მაინცაა. სპორტფეხსაცმლის ფაბრიკას გეგმით 300 წყვილი სათხილამურო ფეხსაცმელი უნდა გამოეშვა, ფაქტიურად დღემდე არც ერთი წყვილიც არ დაუმზადებია. სათხილამურო კოსტიუმების გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა სატრიკოტაჟო ფაბრიკამაც. ჯერ კიდევ შემოსაზიდია თხილამურების გარკვეული რაოდენობა. ახლა, როცა ზამთრის სპორტული სეზონი კარს მოგვადგა, საქმის გადადება ზიანის მეტს არას მოიტანს.

გ. ოქრუაშვილი,
ო. გელაშვილი

მშვიდობის დიდი მომღერალი

პოლ რობსონს მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანი იცნობს, როგორც მეგობარსა და თანამოაზრეს. მისი ძლიერი ხმა მშვიდობის უძლეველ სიმღერად გაისმის.

მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ პოლ რობსონს მიენიჭა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სტალინური პრემია". ამ ცნობით აღფრთოვანებულმა რობსონმა განაცხადა: „დღევანდელი დღე ყველაზე დიდი, ყველაზე ბედნიერი დღეა ჩემს ცხოვრებაში, მე მანდა დავარწმუნო ჩემი მეგობრები, როგორც საბჭოთა კავშირში ისე, სხვა ქვეყნებში, რომ მთელ ძალას მოვახმარ ჩვენს საერთო საქმეს — მშვიდობას. ვიბრძოლებ თავისუფლების, ყველა რასისა და ეროვნების ადამიანთა თანასწორობისათვის, მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის ბედნიერებისათვის!.."

ამ საპატიო ჯილდოს მისაღებად რობსონმა ვერ მოახერხა საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა. სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა მას საზღვარგარეთის პასპორტის გაცემაზე. ამიტომ ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობა 23 სექტემბერს შეიკრიბა ქალაქ ნიუ-იორკის სასტუმრო „ტერასას" საკონცერტო დარბაზში, სადაც დიდ მომღერალს ჯილდო გადასცა გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა ჰოვარდ ფასტმა.

„ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, — თქვა პოლ რობსონმა, — რომ ვდგავართ ჩვენი ხალხისათვის ბრძოლის მოწინავე პოზიციებზე... ჩვენ შევასრულებთ ჩვენს ისტორიულ ამოცანას..."

ხალხი აღტაცებული შეხვდა ლაურეატის გამოსვლას. „მშვიდობა მთელ მსოფლიოში!" — გაისმოდა ყოველი კუთხიდან.

გამოჩენილმა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, თავისი ხალხის უფლებებისა და მშვიდობის საქმისათვის თავდადებულმა მებრძოლმა მძიმე ცხოვრების გზა განვლო. ძნელია ისეთი შავი სამუშაოს დასახელება, რომელიც მას არ შეუსრულებია.

„რატჯერის" კონსერვატული კოლეჯის პედაგოგთა უმეტეს ნაწილს ერჩიათ, არავითარი ქონებრივი ცენზის მქონე მონის შვილი, შავკანიანი პოლ რობსონი ლინჩის სასამართლოსათვის გადაეცათ, ვიდრე სასწავლებელში მიეღოთ. მაგრამ ნათელმა ნიჭმა გადაახტა რეაქციის მიერ მჭიდროდ ნაგებ რასობრივ კედელს და რობსონი სტუდენტი გახდა.

ერთადერთი ზანგი მთელს კურსზე, რომელიც მერხზე ცალკე უნდა მჯდარიყო, აუტანელ ჩაგვრას განიცდიდა თეთრკანიანი „ამხანაგებისაგან." რობსონი, რომლის შესახებ დღეს თვით ბურჟუაზიული ხელოვნების მცოდნენი აცხადებენ, რომ ეს მაღალი ხელოვნებაა, — კოლეჯის მომღერალთა გუნდში არ მიიღეს.

კოლეჯში სწავლის პერიოდში რობსონი საუკეთესო სპორტსმენად ითვლებოდა. გამოირჩეოდა როგორც კარგი მძლეოსანი, მოკრივე, კალათბურთელი, მოცურავე, ჩოგბურთელი და ფეხბურთელი. განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მას ფეხბურთში. მან „რატჯერის" ფეხბურთელთა გუნდს არა ერთი და ორი გამარჯვება მოაპოვებინა.

ამერიკულმა პრესამ მას ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი უწოდა ფეხბურთის ისტორიაში. რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო რობსონის ოსტატობა, რომ რასობრივი ჩაგვრისა და

ლინჩის ქვეყანაში, ზანგმა სრულიად ამერიკის პრიზი მოიპოვა ფეხბურთში. უძლიერეს ფეხბურთელთა სიაში, რომელიც ამერიკაში ყოველწლიურად დგება, რამდენიმე წლის განმავლობაში იგი მოხსენებული იყო, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. მიუხედავად ამისა, ამასწინათ ამერიკაში გამოსულ წიგნში „ფეხბურთის ისტორია ამერიკაში" სპორტის „ისტორიკოსებმა" ერთხელაც არ ახსენეს რობსონის გვარი. წიგნში მოყვანილ იმ გუნდის სიაში, რომელშიც რობსონი თამაშობდა, 10 კაცია დასახელებული (?!)

პოლ რობსონი დღესაც ყურადღებით ადევნებს თვალს სპორტს. ამასწინათ მსაჯთა ერთ-ერთ თათბირზე რობსონი სიტყვით გამოვიდა ამერიკაში ზანგი სპორტსმენების დისკრიმინაციის შესახებ. აი, როგორ დაახასიათა რობსონმა ამერიკული სპორტი.

„კრივის საქმოსნები, ფეხბურთის კლუბების მეპატრონეები და სტადიონთა მფლობელები მხოლოდ შემოსავალზე ფიქრობენ, სპორტს ბიზნესად აქცევენ. მათთვის უცხოა ის აზრი, რომ სპორტის დანიშნულებაა ხალხის ფიზიკური განვითარება".

ჯან-ღონით სავსე ნიჭიერმა სპორტსმენმა გადაწყვიტა ებრძოლა თავისი ხალხის კეთილდღეობის მოპოვებისათვის. იქნებ ამიტომაც აჯობინა „რატჯერის" კოლეჯის კურსდამთავრებულს იურიდიული განათლება მიეღო. კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული სკოლის დამთავრების შემდეგ მშრომელთა ინტერესების დაცვის მიზნით პრაქტიკულ საქმიანობას შეუდგა. ადვილი გასაგებია, რომ ერთ-ერთი მსხვილი ფირმის იურისტს ხშირი კონფლიქტი ჰქონდა ადმინისტრაციასთან. რობსონი ჩქარა დარწმუნდა, რომ ფირმის იურისტის პოსტი მეტად პატარაა იმისათვის, რომ უსამართლობას ებრძოლო, საჭიროა უფრო დიდი ტრიბუნა, საიდანაც შესაძლებელია უშუალოდ მიმართო ხალხს.

26 წლის იყო რობსონი, როდესაც იურისტობას თავი დაანება და დრამატულ თეატრში შევიდა. მალე იგი ოტელოს შესანიშნავი შემსრულებელი გახდა. ამ შავკანიანის ზრდა და პოპულარობა იმთავითვე აშინებდა ამერიკელ რეაქციონერებს. „აბა, წარმოიდგინეთ, ზანგი, ზანგი ითამაშებს ბროდვეიზე თეთრ დეზდემონასთან, დაახრჩობს მას... — აღშფოთებით ამბობდნენ ისინი.

რობსონი უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი იყო, როცა მან სიმღერა დაიწყო. ხალხმა მისი სიმღერა შეიყვარა არა მარტო ხმის სიმშვენიერის, შესრულების მაღალი ოსტატობისათვის, არამედ იმ კეთილშობილი იდეებისათვის, რომელსაც რობსონის ხელოვნება ემსახურება.

რაც უფრო იზრდება ხალხის სიყვარული თავისუფლების მომღერლისადმი, მით უფრო იზრდება ამერიკელ რეაქციონერთა გაafთრება. უკვე დიდიხანია, რაც რობსონისათვის დაიხურა საკონცერტო დარბაზებისა და თეატრების კარები. თუ წინათ საკონცერტო დარბაზების მფლობელთა შორის გაუთავებელი დავა იყო გამართული, სად ემღერა რობსონს, ახლა „დოლარის ცხელებით" დაავადებულმა რეაქციის ყველა მსახურმა ერთხმად უარი თქვა მაყურებლით გაჭედილ დარბაზზე! მაგრამ ამერიკელი ხელისუფალნი ამაოდ ცდილობენ შეზღუდონ მშვიდობის დიდი მომღერალი. იგი ახლა ისე ახლოა ხალხთან, როგორც არასდროს. ამასწინათ ვანკუვერში 25 ათასი კანადელი და ამერიკელი მშრომელი შეიკრიბა საყვარელი მომღერლის მოსასმენად. კონცერტის წარმატებისათვის ხელი არ შეუშლია სავარძლების უქონლობასა და უდარბაზობას. ეს მოხდა ღია ცის ქვეშ. სატვირთო მანქანის ძარიდან გაისმოდა ამ ბრგე ვაჟკაცის მშვიდი, სიმართლით აღსავსე სიმღერა. რობსონის სიმღერა „ჩემი ხალხი მოდის", რომელიც თავდება სიტყვებით „იბრძოლეთ მშვიდობისათვის" რეაქციონერებისათვის რისხვად გაისმა. ამ დღეს რობსონმა მაყურებელს ასე მიმართა:

„...ყველა აქ დამსწრეს, მათ შორის ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, ახსოვდეს, რომ არავითარ ძალას არ შეუძლია მაიძულოს ამ ბრძოლაში დავიხიო თუნდაც ერთი ნაბიჯით!

გახსოვდეთ. მე მოვალ თქვენთან, მომავალ წელს და კვლავ ვიმღერებ".

აი, ასეთი სიმტკიცისათვის უყვარს იგი ხალხს, ამიტომ თვლის მას საბჭოთა ხალხი თავის მეგობრად. ამიტომ იყო, რომ 1949 წელს მოსკოვში ყოფნისას რობსონმა განაცხადა: „პირველად ჩემს სიცოცხლეში ბედნიერი ვარ აქ, მოსკოვში. მოსკოვში მე ვიპოვე გზა, რომელსაც მრავალი წლების განმავლობაში ვეძებდი".

რ. დვალიშვილი

ამასწინათ მესტიის რაიონის ახალგაზრდებმა საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყეს ალპინიადა მწვერვალ ბანგურიანზე. სურათზე: მესტიის რაიონის ახალგაზრდების ჯგუფი მწვერვალ ბანგურიანის მისადგომებთან.

ფოტო სპორტის დამსახურებული ოსტატის ბექნუ ხერგიანისა.

საერთაშორისო ტურნირი

ოცდამეექვსე ტურში ტურნირის ლიდერი სმისლოვი შეხვდა ბრონშტეინს. მშვიდი მანევრული ბრძოლის შემდეგ პარტია 21-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. რეშევსკი-კერესის პარტიაში მე-14 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ოცდამეშვიდე ტურში ყველაზე ადრე დამთავრდა სმისლოვ-გლიგორიჩის პარტია. მოწინააღმდეგენი მე-16 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. მცირე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა აგრეთვე კერეს-ბრონშტეინის, ბოლესლავსკი-პეტროსიანისა და ეუვე-საბოს პარტიები. ავერბახი დამარცხდა შტალბერგთან.

19 ოქტომბერს დამთავრდა გადადებული პარტიები. თამაშის განუახლებლად ტაიმანოვი დანებდა გელერს, ბოლესლავსკი და კოტოვი ყაიმზე შეთანხმდნენ ნაიდორფთან. გელერმა დაამარცხა გლიგორიჩი, ტაიმანოვმა — კოტოვი, პეტროსიანმა — შტალბერგი და ავერბახმა — ეუვე.

27 ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: სმისლოვს აქვს 16,5 ქულა, რეშევსკისა და ბრონშტეინს 14,5 ქულა, კერესს — 14 ქულა, პეტროსიანსა და ნაიდორფს— 13,5 ქულა, კოტოვს — 13, გელერსა და ტაიმანოვს — 12,5, ავერბახს, ბოლესლავსკისა და გლიგორიჩს — 12, ეუვეს — 11, საბოს — 10,5, შტალბერგს — 7 ქულა.

ტურისტები გორში

ქალაქის ტურისტულმა ბაზამ ტურისტთა პირველი ნაკადი მიიღო მაისში. სეზონის გახსნიდან დღემდე გორში ჩამოვიდა 250 ტურისტული ჯგუფი 4.500-ზე მეტი მონაწილით.

ტურისტებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს სახლი, სადაც დაიბადა ი. ბ. სტალინი, ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი და სხვ.

სპორტული ქრონიკა

თელავის ძაფსაღები ფაბრიკ კომკავშირის ორგანიზაციამ და ფიზკულტურის ძირეულმა საბჭომ მოაწყო ტურისტული ლაშქრობა. მონაწილეობდა ფაბრიკის 39 მუშა-მოსამსახურე. ლაშქრობის მარშრუტ იყო: თელავი-ლაგოდეხის ნაკრძალი-კაბალქესი-ყვარელი-თელავი.

ვ. ქურციკაშვილი

* * *

ცხაკაიაში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმისა და ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმ ფრენბურთელთა და კალათბურთელ თა შორის. როგორც ფრენბურთშ ისე კალათბურთელ ქალთა შეხვე რაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ვ კალათბურთელთა შეხვედრაში კ სტუმრებმა.

თ. ტულუში.

* * *

ჭიათურაში დამთავრდა საქალაქ პირველობის გათამაშება ფრენბურ თში, მონაწილეობდნენ „სპარტაკის" „მეტალურგის", „მშენებლისა" სხვა გუნდები. ქალაქის ჩემპიონობ „მშენებლის" გუნდმა მოიპოვა.

შ. კალატოზი

* * *

ჩოხატაურის „კოლმეურნეს" რა საბჭოს თასის გათამაშებაში ფე ბურთელთა 12 გუნდი მონაწილეო და. ფინალში ერთმანეთს შეხვდნ ჩოხატაურისა და კოხნარის გუნდე გაიმარჯვეს ჩოხატაურელებმა 2:1.

გ. ახალაია

* * *

ცაგერის რაიონის 1953 წლის ს ჭადრაკო ჩემპიონატში მონაწილ ობა მიიღო 17-მა სპორტსმენ ყველა შეხვედრა მაღალ დონეზე ჩ ატარა და რაიონის ჩემპიონობა მ იპოვა მეცხრეკლასელმა ბორის ა თიანმა.

გ. ხვადაგიანი.

ჩვენი სტუმრები

უნგრელ ფეხბურთელთა თბილისში ჩამოსვლის გამო

უნგრეთში ფეხბურთი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სპორტია. სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პირველობაზე ყოველწლიურად ათასობით გუნდი მონაწილეობს. სწრაფად იზრდება ფეხბურთის მასობრიობა. 1945 წელს უნგრეთში იყო 15 ათასი ფეხბურთელთა გუნდი, 1948 წელს კი მათი რიცხვი 43.552-მდე გაიზარდა, ხოლო 1949 წელს 66.180-მდე. ახლა მათი რიცხვი 120 ათასს აღწევს. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება ფეხბურთელთა ოსტატობა.

მოწინავე გუნდებს შორის საპატიო ადგილი უჭირავს დოჟის სახელობის კლუბს. დოჟა უნგრელი ხალხის გმირია, რომელიც XVI საუკუნეში გლეხთა აჯანყებას ხელმძღვანელობდა.

დოჟის სახელობის კლუბი წარმატებით გამოდის უნგრეთის ჩემპიონატში. გასულ წელს მან მესამე ადგილი მოიპოვა, პირველი ადგილი დაუთმო „ჰონვედს", მეორე — „ბაშტიას". დოჟის სახელობის კლუბის ფეხბურთელებმა მოიპოვეს 14 გამარჯვება, 8 შეხვედრა დაამთავრეს ფრედ, ხოლო ოთხი წააგეს. გათამაშების უკანასკნელ მატჩში ისინი შეხვდნენ „ჰონვედს". შეხვედრა დამთავრდა ფრედ. მაშინ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მარჯვენა გარემარბი ეგრეში, მარჯვენა შუამარბი სუსა და ცენტრალური თავდამსხმელი დეტი, მარჯვენა ნახევარმცველი ბალგი და მეკარე ხენი. რესპუბლიკის პირველობაზე ფერენც სუსამ 19 ბურთი გაიტანა. ის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევია. სუსა ცნობილია საბჭოთა კავშირის ფეხბურთის მოყვარულთათვის. მას ვიცნობთ უნგრული კინოკომედიიდან „ახალბედები სტადიონზე", რომელშიც იგი მთავარ როლს ასრულებს.

დიდი გამოცდილება და მაღალი ტექნიკა აქვს მრავალ საერთაშორისო შეხვედრების მონაწილეს, უნგრეთის ფეხბურთის ვეტერანს დაექს. ორი-სამი წლის წინათ უნგრეთის ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ ჯობნიდა მას კარში ზუსტად დარტყმაში. გასულ წელს დაექმა 25 თამაშში 15 ბურთი გაიტანა. 10 ბურთი გაიტანა ეგრეშიმ, 8 — ვიროჯმა. ეს უკანასკნელი მიმდინარე ჩემპიონატში გამოდის როგორც მარჯვენა შუამარბი. დოჟის სახელობის კლუბის გუნდში მრავალი ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობს. მათთან გამოირჩევა მარცხენა გარემარბი ტოტი, რომელიც რესპუბლიკის პირველი ნაკრები გუნდის წევრია. რესპუბლიკის მეორე ნაკრებში, რომელმაც ამასწინათ დაამარცხა (7:3) ავსტრიის მეორე ნაკრები, დოჟის სახელობის კლუბის გუნდიდან თამაშობდნენ მეკარე ხენი, მარჯვენა გარემარბი ეგრეში და მარცხენა შუამარბი აშპერანი.

მიმდინარე წელს უნგრეთის ჩემპიონატში ლიდერია „ვერეშ ლობოგო" (ყოფილი „ბაშტია"). მას 18 თამაშიდან 31 ქულა აქვს (მიღებული და გატანილი ბურთების შეფარდება 51:16). მეორე ადგილზე ქულების ასეთივე რაოდენობით, მაგრამ 19 თამაშით, მიდის „ჰონვედი" (67:26). მესამე ადგილზეა დოჟის სახელობის კლუბი — 23 ქულა 18 თამაშიდან (42:31). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დოჟის სახელობის კლუბის გუნდი განსაკუთრებით კარგად თამაშობს ძლიერ მოწინააღმდეგესთან. მიმდინარე წლის გაზაფხულზე (ჩემპიონატის პირველ წრეში) დაამარცხა „ჰონვედი" (5:2) და ფრეს (2:2) მიაღწია „ვერეშ ლობოგოსთან".

შეიძინეს ინვენტარი, მოაწყეს მოედნები

სოფელ ასურეთის (თეთრი წყარ რაიონი) საშუალო სკოლაში ახა სასწავლო წლის დაწყებისთანავე ფ თოდ გაჩაღდა ფიზკულტურული მ შაობა. სკოლამ შეიძინა ორძე ხარიხა, ღერძი, ბურთები, ჭადრ რამდენიმე კომპლექტი და სხვა ვენტარი. შეკეთებულ იქნა სპ ტული მოედნები, ჩამოყალიბ ფრენბურთის, კალათბურთის, ჭადრ ბურთის, შაშის, ჭადრაკის, მძლ ნობის და სხვა სექციები. ზამთ სპორტულ სექციებს დაწყ მოეწყობა ამხანაგური შეხვედ მეზობელი სკოლების ფიზკულ რელებთან.

ჩ. მეტრეველი

რედაქტორი ი. უგულავ

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-31, მორიგისა და გამომშვებისა — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 13204